საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1280

24/08/2021

ქ. თბილისი

ქედის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზუნდაგაში, შპს „მუხრანის ღვინის“ მიერ მდ. აჭარისწყალზე ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, შპს „მუხრანის ღვინის“ (ს.კ. 405390973) მიერ წარმოდგენილია ქედის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზუნდაგას ტერიტორიაზე, მდ. აჭარისწყლის სანაპიროზე ეროზიის საწინააღმდეგო (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, წყალდიდობისა და წყალმოვარდნის დროს მდინარის კალაპოტში განვითარებული გვერდითი და სიღრმითი ეროზიული პროცესების შედეგად ირეცხება და იტბორება მდინარის მარჯვენა ნაპირი, სადაც მდებარეობს შპს „მუხრანის ღვინის“ კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.01.36.004) და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.01.36.669). აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებული ნაპირის მოხაზულობის შენარჩუნებისა და გვერდითი ეროზიული პროცესების შეჩერების მიზნით, შპს „მუხრანის ღვინომ“ მიიღო გადაწყვეტილება ტერიტორიაზე ეროზიის საწინააღმდეგო ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის შესახებ. წარმოდგენილი განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა შეთანხმდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებულია ქვანაყარი ბერმის მოწყობა. საპროექტო ნაგებობის საწყისი და ბოლო წერტილის კოორდინატებია: X – 234767.834, Y – 4605718.257; X – 234769.403, Y – 4605712.635. სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მდინარის წყალმცირობის პერიოდში. სამუშაოები განხორციელდება დღის საათებში და გაგრძელდება დაახლოებით 3 თვის განმავლობაში. საპროექტო უბნის სიგრძე 566 მეტრს შეადგენს.

უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიდან დაშორებულია დაახლოებით 109 მეტრით. მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 6 მეტრში გადის ბათუმი-ახალციხის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა (შ1), ხოლო დაახლოებით 4 მეტრში - მდ. აჭარისწყალი. საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ქედის სატყეო უბანი. საპროექტო გაბიონის მიმდებარედ ფუნქციონირებს კვების ობიექტი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ბერმის სიგანე 4,4 მ-ს შეადგენს, ხოლო მისი გარე ფერდობის დახრილობაა - m=1,5. სიღრმითი ეროზიისაგან დასაცავად გათვალისწინებული ქვის ლეიბის სიგანე შეადგენს 10 მეტრს, ხოლო სისქე - 2,4 მეტრს. ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია მდინარის ჭალაში წინასწარ მოწყობილ ქვაბულში. პროექტის თანახმად, ნაპირსამაგრი ნაგებობის 1 გრძ. მეტრზე გათვალისწინებულია საშუალოდ 37 მ³ მოცულობის საანგარიშო ქვის დაწყობა. ბერმის საანგარიშო ქვის საშუალო დიამეტრი (d) შეადგენს 1,2 მეტრს, ხოლო ქვის მოცულობითი წონა არ უნდა იყოს 2,6 ტ/მ³-ზე ნაკლები. დოკუმენტის მიხედვით, ნაგებობის უკან ეწყობა უკუყრილი, რომლის თხემის ნიშნული ემთხვევა ქვანაყარი ბერმის თხემს და მისი სიგანე შეადგენს 2,0 მეტრს.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე დაგეგმილია მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში ტერიტორიაზე განხორციელდება სამშენებლო ტექნიკისა და მასალის მობილიზება. სამშენებლო მასალის შემოტანა დაგეგმილია რეგიონში არსებული ლიცენზირებული ობიექტებიდან, ხოლო ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება ბათუმი-ახალციხის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა. სკრინინგის განცხადების თანახმად, მოძრაობა არ იქნება ინტენსიური, აგრეთვე, პროექტის მოკლე ვადებისა და მცირე მასშტაბების გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

საპროექტო სამუშაოები მოიცავს ექსკავატორით გრუნტის ამოღებას, ქვანაყარი ბერმის მოწყობას, ქვაბულიდან ამოღებული გრუნტით ბერმის თხემისა და ლეიბის მოხრეშვას, უკუყრილის მოწყობასა და დარჩენილი გრუნტის ბულდოზერით ადგილზე მოსწორებას.

სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილია მდ. აჭარისწყლის საინჟინრო-ჰიდროლოგიური დახასიათება და ინფორმაცია მდინარე აჭარისწყლის მაქსიმალური ხარჯების, მაქსიმალური დონეების თაობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საპროექტო უბანზე მდინარე აჭარისწყლის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ≈6,90 მ-ს შეადგენს.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას ტექნიკური მიზნებით წყლის გამოყენება დაგეგმილი არ არის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით ტერიტორიაზე წყალი შემოტანილი იქნება ბუტილირებული სახით. ხოლო სამეურნეო-ფეკალური წყლებისათვის მოეწყობა დროებითი საასენიზაციო ორმო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები სამშენებლო ტექნიკის მდინარის კალაპოტში დგომას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, პროექტის განხორციელებისას იქტიოფაუნაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აგრეთვე, პროექტი არ ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერ ფენასა და მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადად გაშენებულია ჭადრის ხეები, რომელთა მოჭრაც დაგეგმილი არ არის. ამასთან, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს საავტომობილო გზა, აღნიშნული ტერიტორია ცხოველთა საბინადრო გარემოს არ წარმოადგენს და საქმიანობის განხორციელებისას ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (მაგ. ზეთებით დაბინძურებული ჩვრები და სხვ.) დროებით დასაწყობდება

საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფილ სათავსოში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების სტაციონარული წყაროები განლაგებული არ არის, ემისიები მოსალოდნელია მხოლოდ მოძრავი წყაროებიდან და ინერტული მასალების მართვის პროცესში. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისია და ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციისას. სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო ტექნიკის მუშაობა განხორციელდება მონაცვლეობით, ხოლო ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება შეზღუდული დროის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს სხვა, მსგავსი პროექტები არ მიმდინარეობს და, არც მომავალშია დაგეგმილი. ამასთან, ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი არ არის. პროექტი გარემოსდაცვითი ხასიათისაა და უზრუნველყოფს, არსებული ნაპირების მოხაზულობის შენარჩუნებასა და ნაკვეთების დაცვას ეროზიული პროცესებისაგან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქედის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზუნდაგაში, შპს „მუხრანის ღვინის“ მიერ მდ. აჭარისწყალზე ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „მუხრანის ღვინო“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მუხრანის ღვინოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მუხრანის ღვინოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქედის

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი